

თანხმობის არარსებობის ინდიკატორები არასრულწლოვანთა მიმართ  
ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეებზე- საქართველოს  
გამოცდილებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

თამარ ტერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ტერაშვილი

2023 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება თანხმობის არარსებობის ინდიკატორებს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეებზე-საქართველოს გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დაიცვას ადამიანის სექსუალური თავისუფლება და ხელშეუხებლობა, და უფრო მეტად როდესაც საქმე შეეხება არასრულწლოვანებს, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. თანხმობის არარსებობა არის სექსუალური ძალადობის მთავარი ნიშანი, რომელიც არასრულწლოვნებთან მიმართებით, მათი მოწყვლადობიდან გამომდინარე, სპეციფიკურად და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ფასდება.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მკითხველს მიეცემა შესაძლებლობა, რომ გაიაზროს სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის ცნებები საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის ქრილში. ნაშრომში განხილული იქნება თანხმობის მნიშვნელობა სქესობრივ დანაშაულებში და გარემოებები, როდესაც სახეზე არ გვაქვს ნამდვილი და ჭეშმარიტი თანხმობა სექსუალური დანაშაულების კვალიფიკაციის დროს. ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნებთან მიმართებით ნების დამთრგუნველ ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა ქორწინების იძულება, ტრეფიკინგი და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რაც გამორიცხავს სქესობრივ აქტზე მათ ნამდვილ და ჭეშმარიტ თანხმობას. ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის კოდექსში სქესობრივი დანაშაულის დეფინიციებში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა შესაბამისი საერთაშორისო აქტების რატიფიცირების შედეგად.

კვლევის ფარგლებში დადგინდა და გამოიკვეთა საკანონმდებლო სივრცეში არსებული ხარვეზები და დაბრკოლებები, რომლებსაც პრაქტიკაში სამართალწარმოების სუბიექტები აწყდებიან. ასევე, გამოიკვეთა ის გარემოება, რომ მიუხედავად, გადადგმული ნაბიჯებისა, საკანონმდებლო ჩარჩოს გამკაცრებისა, სქესობრივი

დანაშაულის დეფინიციები შეზღუდულად და ვიწროდ განიმარტება, რაც ერთი მხრივ, იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ- მსხვერპლს უზღუდავს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

**საკვანძო სიტყვები:** სექსუალური ძალადობა, ნების დამთრგუნველი გარემოებები, სექსუალური ექსპლუატაცია, თანხმობის არარსებობა, არასრულწლოვნები

## Abstract

The present paper will concern the non-existent indicators of consent in cases of sexual violence committed against minors - analysis of Georgian experience and international standards.

The main goal of a democratic and legal state is to protect human sexual freedom and inviolability, and more so when it comes to minors, who represent the most vulnerable group of society.

Absence of consent is the main sign of sexual violence, which with regard to minors is assessed specifically based on their vulnerability and taking into account their best interests.

Within the framework of this piece, the reader will be given the opportunity to understand the concepts of sexual violence and exploitation in the light of international standards and local legislation. The paper will discuss the importance of consent in sex crimes and the circumstances when we do not have genuine and clear consent during qualification of sex crimes.

The paper especially focuses on circumstances that suppress the will of minors, such as forced marriage, trafficking, and children living and working in the streets, which excludes their true and genuine consent to sexual intercourse. The paper will concern the changes made in the definitions of sexual crimes in the Criminal Code, which were implemented as a result of the ratification of the relevant international acts.

Within the framework of the research the gaps and obstacles in the legislative space were identified and highlighted, that subjects of litigation face during practice. Also, the fact that despite the steps taken and the tightening of the legal framework the definitions of sexual crimes are defined in a limited and narrow way, which on the one hand leads to impunity for the perpetrators and on the other hand limits access to justice for the victims.

**Key words:** sexual violence, will-suppressing circumstances, sexual exploitation, lack of consent, minors

მადლობა

მადლობა ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გოგა ხატიაშვილს, გამოჩენილი ყურადღებისთვის, გაწეული დახმარებისთვის, გაცემული რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.